ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

დამტკიცებულია
ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის
სახელობის სკოლა-გიმნაზიის დირექტორის
ბრძანება №45 01.08.2024 წ

2024 წ

ზოგადი ინფორმაცია ..... Error! Bookmark not defined.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება 3

მუხლი 2. მონაცემთა დამუშავების პრინციპები 4

მუხლი 3. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები 5

მუხლი 4. ვიდეოთვალთვალი 6

მუხლი 5. ვიდეო და ფოტომასალის გავრცელება 7

მუხლი 6. წვდომა პერსონალურ მონაცემებზე. ინფორმაციის გამოთხოვა//გაცემის წესი 7

მუხლი 7. მონაცემთა უსაფრთხოება და დაცვა 8

მუხლი 8. ცვლილებები და დამატებები 8

დანართი1 9

ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის ფორმა, მოსწავლის ფოტო-ვიდეო მასალის სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდსა და facebook-ზე განთავსებაზე.....9

თანხმობის ფორმა 9

ზოგადი ინფორმაცია- ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის მიზანია უსაფრთხო, ურთიერთთანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული პოზიტიური გარემოს შექმნა.

წინამდებარე დოკუმენტი - პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები (შემდგომში მექანიზმები) განსაზღვრავს ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის (შემდგომში - სკოლა-გიმნაზია) პერსონალური მონაცემის დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საშუალებებს//მექანიზმებს და ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსს, საქართველოს კანონს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

დოკუმენტის მიზანია, განსაზღვროს სკოლა-გიმნაზიის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოფს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა.

სკოლა-გიმნაზიის მონაცემთა დაცვის რეგულირების წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. ამ მექანიზმების მოქმედება ვრცელდება სკოლა-გიმნაზიაში ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ მექანიზმებში მოცემულ ტერმინებს აქვს ისეთივე განმარტება როგორიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში და გაშინაარსებულია სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ა) პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით, ასევე, პერსონალური მონაცემები შეიძლება, იყოს: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მისამართი და სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოხსენიებულია წინამდებარე დოკუმენტში.

ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი – მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის

აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;

გ) მონაცემთა დამუშავება – ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;

დ) მონაცემთა სუბიექტი – ნებისმიერი ფიზიკური პირი(მოსწავლე/პერსონალი), რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება;

ე) თანხმობა//წერილობითი თანხმობა – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, წერილობით ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან სხვაგვარად აღნიშნა წერილობით, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება ;

ვ) მონაცემთა დამმუშავებელი – სკოლა-გიმნაზიის პერსონალი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას;

ზ) მონაცემთა მიმღები - სკოლა-გიმნაზიის თანამშრომელი, ვისაც გადაეცა პერსონალური მონაცემები სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე.

მუხლი 2. მონაცემთა დამუშავების პრინციპები

2.1. პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს აუცილებელია მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვა.

2.2. მონაცემთა დამმუშავებლის მიერ უნდა იქნეს გამოყენებული შემდეგი პრინციპები:

ა) სამართლიანობა და კანონიერება - მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად, კანონიერად, ადამიანის ღირსების შეულახავად.

ბ) კონკრეტული კანონიერი მიზნის არსებობის აუცილებლობა - ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ რა მიზნით ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება.

გ) ადეკვატურობა და პროპორციულობა - მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. როგორც მონაცემთა კატეგორია, ასევე, მათი მოცულობა უნდა იყოს ამ მიზნის ადეკვატური და პროპორციული.

დ) ნამდვილობა და სიზუსტე - მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების ნამდვილობა, სიზუსტე და საჭიროებისამებრ მათი განახლება.

ე) მონაცემების შენახვის ვადა - მონაცემები უნდა ინახებოდეს იმ ვადით, რაც აუცილებელია მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად. თუ კონკრეტული მონაცემის შენახვის ვადა კანონით არ არის განსაზღვრული, ეს ვადა უნდა განსაზღვროს თავად სკოლა-გიმნაზიამ დამუშავების მიზნიდან გამომდინარე.

მუხლი 3. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

3.1.პერსონალურ მონაცემები მუშავდება როგორც ავტომატური, ისე არაავტომატური საშუალებების გამოყენებით.

3.2. მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ:

ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა;

ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

დ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა;

ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).

ვ) სკოლა-გიმნაზია ვალდებულია მონაცემები შეაგროვოს კანონიერი საფუძვლით, კონკრეტული, მკაფიოდ გასაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის, მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოცულობით. მონაცემები ასევე უნდა იყოს მიზნის ადეკვატური და პროპორციული და უნდა ინახებოდეს იმ ვადით, რაც აუცილებელია დამუშავების მიზნის მისაღწევად.

3.3.სკოლა-გიმნაზიაში მუშავდება ისეთი პერსონალური მონაცემები, როგორიცაა:

ა) თანამშრომელთა შესახებ - სახელი, გვარი, ფოტოსურათი, დაბადების თარიღი, ასაკი, სქესი, მისამართი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, ავტობიოგრაფია, რეზიუმე (CV), განათლების შესახებ ინფორმაცია, უცხო ენის ცოდნის შესახებ ინფორმაცია, დიპლომის ასლი ან განათლების დამადასტურებელი მოწმობა, კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შესახებ ინფორმაცია, სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი, სამხედრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია, დაკავებული პოზიცია (თანამდებობა), ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია;

ბ) მოსწავლის შესახებ - სახელი, გვარი, პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია, ნომერი და გაცემის ვადა, დაბადების მოწმობის სერია, ნომერი და გაცემის ვადა, ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, დაბადების თარიღი, სქესი, სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაცია, მოქალაქეობა, სამხედრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია, მოსწავლის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის/აქტები (ჩარიცხვის შესახებ ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა, ამორიცხვის შესახებ ბრძანება);

გ) სკოლა-გიმნაზია ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მათ შორის: ინფორმაცია მოსწავლის/თანამშრომლების ჯანმრთელობის შესახებ, ინფორმაცია ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ;

დ) სკოლა-გიმნაზია უფლებამოსილია დაამუშავოს პერსონალური მონაცემები დისციპლინური ღონისძიებების გატარების დროს (არასრულწლოვნის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი თანხმობით).

ე) მონაცემები მუშავდება სხვადასხვა მოქმედების განხორციელებით, კერძოდ მოსწავლის და დასაქმებულის პირადი საქმის წარმოება, ელექტრონული და მატერიალური ჟურნალის აღრიცხვა, ერთიან ელექტრონულ სისტემაში მონაცემების აღრიცხვა/მოძიება, სკოლა-გიმაზნიის ტერიტორიაზე ვიდეო- ფოტო გადაღება და ა.შ.

ვ) სკოლა-გიმნაზია ამუშავებს და ბრძანების სახით გამოსცემს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომელიც დაკავშირებულია პირისთვის მოსწავლის სტატუსის მინიჭებასთან, შეწყვეტასთან, შეჩერებასთან, აღდგენასთან, მობილობასთან, ჩარიცხვასთან და ა. შ.

ზ) სკოლა-გიმნაზია მუდმივად უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგს.

თ) სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს დასაქმებულების, მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ხელშეკრულებებისა და აღნიშნული დოკუმენტის მეშვეობით.

მუხლი 4. ვიდეოთვალთვალი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ვიდეოთვალთვალის განხორციელება დასაშვებია შემდეგი მიზნის მისაღწევად:

4.1.პირის უსაფრთხოება - სკოლა-გიმნაზიაში, შესაძლოა, ვიდეოთვალთვალი განხორციელდეს მოსწავლეების და სხვა პირთა უსაფრთხოების დასაცავად;

4.2. საკუთრების დაცვა - ვიდეოთვალთვალის განხორციელება იმ ტერიტორიაზე, სადაც განთავსებულია ძვირადღირებული კომპიუტერული ტექნიკა, ან სხვა აპარატურა და სხვა გზით საკუთრების დაცვის მიზნის მიღწევა შეუძლებელია;

4.3. არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისაგან დაცვა;

4.4. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით შესაძლებელია მხოლოდ შენობის გარე და წინასწარ დადგენილ პერიმეტრზე მონიტორინგის განხორციელება;

4.5. დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესის კონტროლის მიზნით, ამის შესახებ მოსწავლეების და მასწავლებლების შესაბამისი გაფრთხილების მიუხედავად;

4.6. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ამ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად ითვლება;

4.7. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია შექმნას ვიდეოჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემა;

4.8. ჩანაწერების (სურათები/ხმა) გარდა, სისტემა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ;

4.9. ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მომზადებული ჩანაწერების მესამე პირებისთვის გადაცემა დაუშვებელია გარდა გამონაკლისისა. თუ სკოლა-გიმნაზიას მიმართავს სამართალდამცავი ორგანო და მოითხოვს ვიდეოჩანაწერს, სკოლა-გიმნაზიამ ჩანაწერის გადაცემის საკითხი უნდა შეაფასოს ინდივიდუალურად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 5. ვიდეო და ფოტომასალის გავრცელება

5.1 გაკვეთილების პროცესში იკრძალება მობილური ტელეფონებისა, თუ ვიდეო-ფოტო გადამღები მოწყობილობების გამოყენება (გარდა იმ გამონაკლისებისა, თუ გაკვეთილის ფორმატი ითვალისწინებს მობილური ტელეფონის, როგორც სასწავლო რესურსის გამოყენებას- თავისებურების გათვალისწინებით);

5.2 სხვადასხვა ღონისძიების ფოტო-ვიდეო მასალის გავრცელება დასაშვებია მხოლოდ ფოტო-ვიდეო მასალაზე გამოსახული ადამიანებისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში;

5.3 სკოლა-გიმნაზიის სხვადასხვა საკლასო, ასევე ონლაინ გაკვეთილის, წრის(-ების) თუ საკლუბო აქტივობის ან/და სხვადასხვა ღონისძიებების დროს გადაღებული ფოტო და ვიდეოს იყენებს თანამშრომლებისთვის ამისთვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეში და გამოითხოვს თანხმობას მშობლისაგან დანართი N-1-ის შესაბამისად.

მუხლი 6. წვდომა პერსონალურ მონაცემებზე. ინფორმაციის გამოთხოვა//გაცემის წესი

6.1.მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზანზე და სამართლებრივ საფუძველზე, მონაცემთა შეგროვების გზებზე, ასევე, იმაზე, თუ ვის გადაეცა მისი მონაცემები, რა მიზნითა და რა საფუძვლით. ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს თავად მონაცემთა სუბიექტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი;

6.2.მონაცემთა სუბიექტს მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა;

6.3.დაუშვებელია მასწავლებლის მიერ მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებული შენიშვნების განხილვა საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას, სხვა მოსწავლეების თანდასწრებით ან მშობელთა კრებაზე სხვა მშობლების თანდასწრებით;

6.4.არასრულწლოვანი მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება აქვს მშობელს ან მის სხვა კანონიერ წარმომადგენელს;

6.5.სავალდებულოა მესამე პირებისთვის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისას მოხდეს ინფორმაციის გაცემის ფაქტების აღრიცხვა, რაც უნდა მოიცავდეს შემდგომ ინფორმაციას:

ა) რა მონაცემი იქნა გაცემული;

ბ) ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით.

მუხლი 7. მონაცემთა უსაფრთხოება და დაცვა

7.1 მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ზომები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით;

7.2 სკოლა-გიმნაზია ვალდებულია შეინახოს პერსონალური მონაცემები კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ასევე ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის საქმის წარმოების ერთიანი წესით.

მუხლი 8. ცვლილებები და დამატებები

8.1.ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სკოლა-გიმნაზიის დირექტორის მიერ კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზია

დანართი1

ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის ფორმა, მოსწავლის ფოტო-ვიდეო მასალის სკოლა-გიმნაზიის ვებგვერდსა და facebook-ზე განთავსებაზე

თანხმობის ფორმა

მე, ა(ა)იპ სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის --- კლასის მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი/მშობელი/მეურვე/მზრუნველი) თანხმობას ვაცხადებ ჩემი შვილის ისეთი ფოტო-ვიდეო მასალის სკოლის ვებგვერდზე და facebook-ზე განთავსებაზე, სადაც ასახული იქნება მისი მხოლოდ საგანმანათლებლო აქტივობა ან/და აკადემური თუ სხვა სახის მიღწევები. პატივისცემით,

	მოსწავლის გვარი, სახელი	კანონიერი წარმომადგენელი	პოზიციაზე ხელმოწერა		შენიშვნა
			თანხმობა	უარყოფა	
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					
24					